

შპს „ტატო 2009“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ტატო 2009“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

	შენ.	2021	2020
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები		159 570	234 322
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		31 648	37 507
მარაგები		243 778	210 003
სხვა		243 778	210 003

შპს „ტატო 2009“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სხვა ძირითადი საშუალებები	7 278	10 953
სულ აქტივები	442 274	492 785
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	97 264	136 113
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	27 707	25 511
საგადასახადო ვალდებულებები	65 339	54 840
სხვა ვალდებულებები	190 310	216 464
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	251 765	276 121
სულ საკუთარი კაპიტალი	251 965	276 321
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	442 274	492 785

ხელმოწერილია 14 სექტემბერი 2022 წელი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან მიქელაიშვილი

ლელა კოტრიკაძე



შპს „ტატო 2009“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შე ნ	2021	2020
საქონლის გაყიდვიდან		7 124 176	6 312 223
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(6 575 481)	(5 831 841)
საერთო მოგება		548 695	480 382
სხვა შემოსავალი		822	1 582
დასაქმებულთა ანაზღაურება		(379 022)	(329 212)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3 675)	(3 861)
გაუფასურების ხარჯი		-	-
საიჯარო ქირა		(51 000)	(49 500)
სხვა ხარჯები		(63 979)	(43 939)
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის			
ხარჯამდე		(496 854)	(424 930)
მოგების გადასახადი		(7 776)	(8 318)
მოგება/(ზარალი)		44 065	47 134

ხელმოწერილია 2022 წლის 14 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან მიქელაიშვილი

ლელა კოტრიკაძე



საოპერაციო საქმიანობა	2 021	2 020
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	8 292 939	7 362 165

შპს „ტატო 2009“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე

გაცემული ფულადი სახსრები

(8 149 865) (7 129 552)

სხვა

(152 826) (135 004)

საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები

(9 752) 97 610

გადახდილი მოგების გადასახადი

ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

(9 752) 97 610

საინვესტიციო საქმიანობა

მიღებული პროცენტი

მიღებული დივიდენდები

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები

- -

საფინანსო საქმიანობა

დივიდენდების გადახდა

(65 000)

ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

(65 000) -

ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში

(74 752) 97 610

სავალუტო კურსის ეფექტი

ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის

234 322 136 712

ფულადი სახსრები წლის ბოლოს

159 570 234 322

ხელმოწერილია 2022 წლის 14 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან მიქელაიშვილი

ლელა კოტრიკაძე



Handwritten signature of Lela Kotrikadze.

შპს „ტატო 2009“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	228 986	229 186
დივიდენდის გამოცხადება			-
საწესდებო კაპიტალი ცვლილება		47 134	47 134
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	276 121	276 321
დივიდენდის გამოცხადება		(68 421)	(68 421)
საწესდებო კაპიტალი ცვლილება		-	-
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		44 065	44 065
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	251 765	251 965

ხელმოწერილია 2022 წლის 14 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან მიქელაიშვილი

ლელა კოტრიკაძე



1. შპს „ტატო 2009“ და მისი საქმიანობა

შპს „ტატო 2009“ ფუნქციონირებს 2009 წლის 26 აგვისტოდან ქალაქ ბათუმში.

შპს „ტატო 2009“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია

ლევან მიქელაიშვილი პირადი #61002008769 საქართველო -100%

ძირითადი საქმიანობა კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საკანცელარიო საქონლით საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, ინასარიძის ქ. N 14

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, საქართველო, ქალაქი ბათუმი, ინასარიძის ქ. N 14

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების თარიღისთვის გადასახდელი მიმდინარე ფასის ეკვივალენტური ოდენობით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

შპს „ტატო 2009“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სასარგებლო გამოყენების
ვადა წლებში:

მანქანა დანადგარები
ოფისის აღჭურვილობა

10-15
10-15

მარაგები. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. საზოგადოების სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (სააქციო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშვალტურის მიღებისთანავე.

შპს „ტატო 2009“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

შემოსავლის აღიარება. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაცებზე.

3. ძირითადი საშუალებები

კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მანქანა-დაბადგარები	ავჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	47 734	6 756	54 490
შესყიდვა	-	-	-
გასვლა	-	-	-
კაპიტალიზაცია	-	-	-
31 დეკემბერი 2021	47 734	6 756	54 490
აკუმულირებული ცვეთა			
31 დეკემბერი 2020	36 781	6 756	43 537
31 დეკემბერი 2021	40 456	6 756	47 212

შპს „ტატო 2009“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	10 953	-	10 953
31 დეკემბერი 2021	7 278	-	7 278

4. ფული და ფულის ექვივალენტები

2021-2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ექვი.	2021	2020
ნაღდი ფული	159 487	233 994
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	83	328
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
სულ	159 570	234 322

5. საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია

ლევან მიქელაიშვილი საქართველო - 100%

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით ხარჯების დაფინანსების მიზნით, ხოლო დანარჩენ მოგებას ანაწილებს პარტნიორზე.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2021	2020
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	97 264	136 113
მიღებული ავანსები		-
სულ	97 264	136 113

7. შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის წყაროა კვების პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო სადეზინფექციო საშუალებების რეალიზაცია.

ამონაგები

შპს „ტატო 2009“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	7 124 176	6 312 223
სულშემოსავალი	7 124 176	6 312 223

8. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას რეალიზებული კვების პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო სადებიზინფექციო საშუალებების თვითღირებულება შეადგენს:

რეალიზებული პროდუქტი სთვითღირებულება

	2021	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6 575 481)	(5 831 841)
სულ თვითღირებულება	(6 575 481)	(5 831 841)

9. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის მაკონტროლებელი პირი არის ლევან მიქელაიშვილი.

10. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.

11. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი არამაკოექტირებული მოვლენა

2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში კოვიდ ინფექციის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი გავლენის განხილვა კომპანიის ფუნქციონირებადობაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ საკანონმდებლო შეზღუდვები კვების პროდუქტების სარეალიზაციო პუნქტებს ყველაზე ნაკლებად შეეხო. აქედან გამომდინარე კომპანია ფუნქციონირებდა ჩვეული რეჟიმით.